Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#31, თებერვალი, 2026

თბილისის ტოპონიმიკური პოლიტიკა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში: ხელისუფლებების ცვლილების ანალიზი

ელენე შონია

მარიამ გაგნიძე

პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: elene.shonia139@sps.tsu.edu.ge

E-mail: mariam.gagnidze422@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი სახელმწიფოებისთვის ურბანული სიმბოლიზმის გადაფასება და სახელმწიფოებრივი იდენტობის ხელახალი ძიება კრიტიკულად აქტუალური საკითხია. ნაშრომი იკვლევს თბილისის ტოპონიმიკურ ტრანსფორმაციას 1990 წლიდან დღემდე და განიხილავს მას როგორც მმართველი ელიტების იდეოლოგიური ნარატივებისა და მეხსიერების პოლიტიკის მთავარ რეპრეზენტაციას. ნაშრომის ფარგლებში ურბანული სივრცე გააზრებულია როგორც სიმბოლური ბრძოლის ველი, სადაც ქუჩებისა და მოედნების სახელდება ისტორიული ნარატივების ლეგიტიმაციისა და პოლიტიკური ნების დამკვიდრების მექანიზმს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია, დაადგინოს თუ როგორ იცვლებოდა პრიორიტეტები ურბანულ მეხსიერებაში და როგორ ასახავს თბილისის ქუჩების სახელწოდებათა ცვლილება დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური რეჟიმების იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას. თვისებრივი კონტენტ-ანალიზისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით ნაშრომში გაანალიზებულია ოთხი პოლიტიკური ეტაპი: ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილისა და „ქართული ოცნების მმართველობის პერიოდები,თითოეული პერიოდიდან იმ ტოპონიმების შერჩევით, რომელთა სახელწოდების ცვლილების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ონლაინ-არქივებში.

კვლევამ აჩვენა, რომ თბილისის ურბანული სივრცე წარმოადგენს დინამიკურ პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რომელსაც მმართველი ელიტები საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებისა და საკუთარი ლეგიტიმაციის გასამყარებლად იყენებენ. გამოიკვეთა, რომ საქართველოში მეხსიერების პოლიტიკას არ ახასიათებს ინსტიტუციური უწყვეტობა, პირიქით, თითოეული მმართველი გუნდი ატარებს სრულიად ავტონომიურ პოლიტიკას. ნაშრომი ადასტურებს, რომ ტოპონიმიკური ლანდშაფტი ყოველი პოლიტიკური ცვლილებისას განიცდის რადიკალურ ტრანსფორმაციას, რაც წინა რეჟიმის სიმბოლური ნარატივების უარყოფასა და ახალი, იზოლირებული იდეოლოგიური დღის წესრიგის დამკვიდრებას ემსახურება. საბოლოო მიგნებით, ქუჩების სახელდება საქართველოში წარმოადგენს არა ევოლუციურ, არამედ ფრაგმენტულ პროცესს, სადაც საჯარო სივრცე ყოველი ახალი ხელისუფლების პირობებში სიმბოლურად ,ნულიდან" იწერება.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმიკა, ქუჩების სახელდება, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, კოლექტიური მეხსიერება.

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში ურბანული სივრცე აღქმულია როგორც სიმბოლური ბრძოლის ველი, სადაც ხელისუფლებები საკუთარი იდეოლოგიური ნარატივების დამკვიდრებას ცდილობენ. ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტოპონიმიკას, ქუჩებისა და მოედნების სახელდებას. როგორც
პიერ ნორა აღნიშნავს თავის კონცეფციაში ,,მეცსიერების ადგილები" (*Les Lieux de Mémoire*), საზოგადოებრივი მეხსიერება არ არსებობს სპონტანურად; მას სჭირდება კონკრეტული წერტილები, სადაც ისტორია სიმბოლოდ იქცევა. ტოპონიმიკა ნორასეული ,,მეხსიერების ადგილების" ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტია. ქუჩის სახელი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ორიენტირი, ის არის ნიშანი, რომელიც აბსტრაქტულ ისტორიულ ნარატივს ფიზიკურ, ყოველდღიურ სივრცესთან აკავშირებს (Nora, 1989). შესაბამისად, ქუჩების სახელების გადარქმევა წარმოადგენს ნორასეული ,,მეხსიერების ადგილების" მიზანმიმართულ გადაკეთებას, ძველი სიმბოლური კერების დემონტაჟსა და ახალი იდეოლოგიური აქცენტების მატერიალიზაციას. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ასევე ეყრდნობა მორის ჰალბაქსის ,,კოლექტიური მეხსიერების" ხედვას, რომლის მიხედვითაც მეხსიერება სოციალურად კონსტრუირებული ფენომენია. საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი ხშირად ,,ზემოდან ქვემოთ" მიმართული პოლიტიკური აქტია, მმართველი ელიტები განსაზღვრავენ, თუ რა უნდა ახსოვდეს და რა უნდა დაივიწყოს საზოგადოებამ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ტოპონიმების ტრანსფორმაცია დეკოლონიზაციისა და სახელმწიფოებრივი იდენტობის ძიების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგია ქალაქის რუკას პროპაგანდის ინსტრუმენტად იყენებდა, რაც ქმნიდა რუსული და ბოლშევიკური გავლენის ჰეგემონიას ურბანულ სივრცეში (Khotcholava-Matchavariani et al., 2023). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში ტოპონიმების ცვლილება იქცა ,,მეხსიერების ომების" ნაწილად, სადაც ყოველი მომდევნო ხელისუფლება ცდილობდა წარსულის გადაფასებას და ახალი სიმბოლური წესრიგის დამყარებას.თბილისის ტოპონიმიკური ცვლილებები არ ყოფილა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის; ისინი პირდაპირ კავშირში იყო ქვეყნის იდეოლოგიური კურსის ცვლილებასთან და წარსულის გადაფასების მცდელობებთან.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოთხი მკაფიოდ განსხვავებული პოლიტიკური ეტაპი: ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილისა და ,,ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდები. კვლევის ფოკუსშია არა მხოლოდ თავად სახელწოდებათა ცვლილების ფაქტი,

არამედ ის იდეოლოგიური ორიენტირები, რომლებიც ამ ცვლილებების უკან იდგა.

კვლევის მიზანია, დაადგინოს თუ როგორ იცვლებოდა პრიორიტეტები ურბანულ მეხსიერებაში დროთა განმავლობაში: რომელი ისტორიული ფიგურები თუ მოვლენები ხდებოდნენ აქტუალური და პირიქით, რომელი ნარატივები იდევნებოდა ქალაქის რუკიდან. ამგვარი შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ რამდენად რეაგირებს თბილისის ტოპონიმური ლანდშაფტი პოლიტიკურ კონიუნქტურაზე და რამდენად მდგრადია ისტორიული მეხსიერება მმართველი ელიტების ცვლილებისას. შესაბამისად, ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ როგორ ასახავს თბილისის ქუჩების სახელწოდებათა ცვლილება დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური რეჟიმების იდეოლოგიურ ტრანსფორმაციასა და მათ მიერ გატარებულ მეხსიერების პოლიტიკას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის თეორიული და ემპირიული საფუძვლები ეყრდნობა ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს მეხსიერების კვლევებს, ურბანულ გეოგრაფიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას. ნაშრომის თეორიულ საყრდენს წარმოადგენს მორის ჰალბაქსის კოლექტიური მეხსიერების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური მეხსიერება ყოველთვის მოქცეულია სპეციფიკურ სოციალურ ჩარჩოებში და ისტორიული სურათები იქმნება არა მხოლოდ წარსულის რეალური გამოცდილებით, არამედ აწმყოს პოლიტიკური და სოციალური საჭიროებებით (Halbwachs, 1992). ამ იდეის ურბანულ სივრცეში ტრანსფორმაციას ავითარებს პიერ ნორა, რომელიც განმარტავს, რომ თანამედროვე ეპოქაში, სადაც ცოცხალი მეხსიერება თანდათან ქრება, საზოგადოება ცდილობს მის შენარჩუნებას მატერიალური და სიმბოლური ობიექტების მეშვეობით (Nora, 1989). ნორას ხედვით, ქუჩის სახელწოდება არ აღიქმება მხოლოდ როგორც ფუნქციური მისამართი, არამედ იგი წარმოადგენს მეხსიერების სპეციფიკურ ადგილს, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მოახდინოს, ისტორიის კონკრეტული ვერსიის კანონიზაცია ყოველდღიურ ყოფაში.

კრიტიკული ურბანული გეოგრაფიის ფარგლებში, ალდო დალა კოსტა ქალაქის რუკას განიხილავს, როგორც სიმბოლურ ტექსტს, რომელსაც სახელმწიფო მუდმივად გადაწერს საკუთარი იდეოლოგიური ლეგიტიმაციის განსამტკიცებლად (Dala Costa, 2020). აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ ტოპონიმების შეცვლა არის პოლიტიკური აქტი, რომელიც მიზნად ისახავს, ძველი რეჟიმის იდეოლოგიური კვალის წაშლას და ახალი პოლიტიკური წესრიგის ნორმალიზებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პროცესი მჭიდროდ

უკავშირდება დეკოლონიზაციისა და ეროვნული იდენტობის ხელახალი ძიების პროცესს. გიორგი მაისურაძე დეტალურად განიხილავს, თუ როგორ ხდება საქართველოში მეხსიერების პოლიტიკა იდენტობის ფორმირების მთავარი ინსტრუმენტი და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ტოპონიმების ჩანაცვლება ნაციონალური ნარატივებით იყო არა მხოლოდ წარსულის დაბრუნების მცდელობა, არამედ სრულიად ახალი პოლიტიკური მითოლოგიის შექმნა (მაისურაძე, 2023). თუმცა, მაისურაძის ანალიზი მეტწილად კულტურულ-ფილოსოფიურ ჭრილშია და ნაკლებად ეხება კონკრეტული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური რეჟიმების მიერ გატარებული ტოპონიმიკური ცვლილებების ემპირიულ შედარებას.

თანამედროვე კვლევები (Earth Sciences, 2017; Georgian Geographical Journal, 2024) და ,,საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს" (2014) ანგარიშები ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა ტოპონიმიკა იდეოლოგიური პროპაგანდის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა, რომლის დემონტაჟიც დამოუკიდებლობის პრიორიტეტად იქცა. მიუხედავად აღნიშნული წყაროების მნიშვნელობისა, სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ მწირია სისტემური შედარებითი ანალიზი უშუალოდ დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის. არსებული კვლევების უმეტესობა (მაგ. Khotcholava-Matchavariani et al., 2023) ტოპონიმიკურ ცვლილებებს განიხილავს, როგორც ერთჯერად პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის აქტს, რაც ყურადღების მიღმა ტოვებს იმ დინამიკურ პროცესს, თუ როგორ იცვლებოდა სიმბოლური პრიორიტეტები შევარდნაძის, სააკაშვილისა თუ „ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდებში. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ თეორიულ და ემპირიულ ხარვეზს ავსებს, იგი წარმოაჩენს ტოპონიმიკას, როგორც მუდმივად ტრანსფორმირებად პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ყოველი ახალი ელიტის ხელში საკუთარი იდეოლოგიური დღის წესრიგის ლეგიტიმაციის საშუალებად იქცევა.

მეთოდოლოგიის აღწერა

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის დიზაინს, რომელიც ორიენტირებულია თბილისის ტოპონიმიკაში მიმდინარე ცვლილებების სიღრმისეულ ანალიზზე. კვლევის სტრატეგია ეყრდნობა საარქივო მასალების დამუშავებისა და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის ინტეგრირებულ მიდგომას.

მონაცემთა შეგროვების პროცესში ძირითად წყაროს წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის არქივი, ასევე ერთიანი სახელმწიფო სერვისების პორტალი (matsne.gov.ge) და სხვა ხელმისაწვდომი ციფრული ბაზები. კვლევის ფარგლებში სრულად იქნა შესწავლილი თბილისის ყველა ის

ტოპონიმი, რომელთა სახელწოდების ცვლილების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ონლაინ-არქივებში. საარქივო კვლევის ეს ეტაპი გადამწყვეტი იყო კვლევის ემპირიული ბაზის შესაქმნელად, რამაც უზრუნველყო მონაცემთა მაქსიმალური მოცვა ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში.

ამ მონაცემებიდან, უშუალოდ ნაშრომში წარმოსადგენად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევის პრინციპი. კერძოდ, დამუშავებული მასალიდან შეირჩა ის საკვანძო ტოპონიმები, რომლებიც ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ საკვლევ პერიოდებში არსებულ იდეოლოგიურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკური ნარატივების ცვლილებას. შეგროვებული მასალის ინტერპრეტაციისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. თითოეული იდენტიფიცირებული ტოპონიმი გაანალიზდა სპეციალურად შემუშავებული კოდირების სქემის მიხედვით (იხ. დანართი 1).

კვლევის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა შედარებითი ანალიზი ოთხ პოლიტიკურ პერიოდს შორის (გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და „ქართული ოცნების“ მმართველობა). აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მოხდა თითოეული რეჟიმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტენდენციების იდენტიფიცირება და მათი ურთიერთშეპირისპირება. კვლევის ვალიდურობას განაპირობებს გამოყენებული წყაროების ოფიციალური ხასიათი და მონაცემთა სისტემური დამუშავება, თუმცა გასათვალისწინებელია საარქივო მასალების ფრაგმენტულობაც, რის გამოც აქცენტი გაკეთდა ზემოაღნიშნულ საილუსტრაციო ნიმუშებზე.

შედეგები/დისკუსია

ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო ეფუძნება საქართველოს პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპს იდეური და საგარეო პოლიტიკური ტრაექტორიების შედარებით ანალიზს. კვლევაში გამოიყოფა ოთხი განსხვავებული მოდელი, რომლებიც ასახავენ ხელისუფლების იდეოლოგიურ ღერძსა და საგარეო გეზსს. ეს მიდგომა შეესაბამება პიერ ნორას კონცეფციას ,,მეხსიერების ადგილების” შესახებ, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ (Nora,1989). ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ რომ ურბანული ნომენკლატურა წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, სადაც ყოველ ახალ ხელისუფლებას შემოაქვს საკუთარი სიმბოლური კოდი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქუჩების სახელდების პოლიტიკა, არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ ღრმა იდეოლოგიური აქტიცაა.

ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის ცენტრში იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა, რომელიც ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, სახელმწიფო სუვერენიტეტის

განმტკიცებასა და ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ კონსოლიდაციას ემყარებოდა. ეს მიდგომა სრულად თავსდება გ. მაისურაძის მიერ აღწერილ დეკოლონიზაციის მეხსიერების პოლიტიკასთან, რომლის ფარგლებშიც დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა სიმბოლური მემკვიდრეობის დემონტაჟსა და „წართმეული წარსულის“ დაბრუნებას ცდილობდა (მაისურაძე, 2023). დესოვიეტიზაციის ამ მკვეთრი ნარატივის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება ლენინის მოედნისთვის „თავისუფლების მოედნის“ წოდება იყო, რაც საბჭოთა იმპერიული სიმბოლიკის ფუნდამენტურ უარყოფას წარმოადგენდა. ამავე ლოგიკით, 1990 წლიდანვე დაიწყო საბჭოთა რეპრესიული სისტემისა და იდეოლოგიის სიმბოლოების აღმოფხვრა ურბანული სივრციდან: ბოლშევიკური ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ფელიქს ძერჟინსკის ქუჩას პავლე ინგოროყვას სახელი ეწოდა, ხოლო საბჭოთა ფუნქციონერის, მიხეილ კალინინის ქუჩა ივანე ჯავახიშვილის სახელობის გახდა. ანალოგიურად, რევოლუციონერი შაუმიანის მოედნისა და კაშენის ქუჩის სახელწოდებების გაუქმება მიზნად ისახავდა საბჭოთა პანთეონის სრულ დემონტაჟს და მის ჩანაცვლებას ეროვნული ავტორიტეტებით. საბჭოთა სიმბოლოების ნგრევის პარალელურად, ტოპონიმიკა ატარებდა ისტორიული უწყვეტობისა და ქრისტიანული იდენტობის აღდგენის ნარატივს, რომლის მიხედვითაც საქართველო თავის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ფესვებს უბრუნდებოდა. ქუჩებისთვის ისეთი სახელების მინიჭება, როგორიცაა მირიან მეფე, თორნიკე ერისთავი და 26 მაისი, ემსახურებოდა კოლექტიური მეხსიერების იმგვარ რესტრუქტურიზაციას, სადაც საბჭოთა პერიოდი იგნორირებულია და ხდება პირდაპირი სიმბოლური კავშირის დამყარება ,,ოქროს ხანასა“ და პირველ რესპუბლიკასთან. ამავე კონტექსტში, ისტორიული გმირების, წამებულებისა და რაინდული ფიგურების აქტუალიზაცია ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლოდ იქცა. ამის უმნიშვნელოვანეს ნიმუშს შაუმიანის მოედნისთვის ქეთევან წამებულის, ხოლო კაშენის ქუჩისთვის აბო თბილელის სახელის მინიჭება წარმოადგენს. ამგვარი ტრანსფორმაციები ხაზს უსვამდა ქრისტიანულ თავგანწირვას, როგორც ეროვნული მედეგობის საფუძველს, რაც მკაფიოდ პასუხობდა იმჟამინდელ კონფრონტაციულ საგარეო კურსს რუსეთის მიმართ.

ედუარდ შევარდნაძის ეპოქა გამოირჩეოდა იდეოლოგიური ამბივალენტურობითა და სტაბილურობის ძიებით. მისი მმართველობა ნაკლებად ეფუძნებოდა ერთიან ნარატივს და მეტად იყო ორიენტირებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციურ გადარჩენაზე. ამ პროცესს ადასტურებს ა. დალა კოსტას კვლევაც, სადაც თბილისის პოსტსაბჭოთა ტოპონიმია დახასიათებულია როგორც ,,ჰიბრიდული მეხსიერების ლანშაპტი” სივრცე, სადაც საბჭოთა, ეროვნულ და ნეიტრალურ სიმბოლოებს შორის თანაარსებობა მერყევ იდენტობას ასახავს (Dala Costa, 2020). შესაბამისად, ამ ეპოქაში ქუჩების სახელდებები უფრო ხშირად

უკავშირდებოდა აკადემიურ ელიტასა და კულტურულ მოღვაწეებს, რაც პოლიტიკური სიმწვავის შემცირებისა და ურბანული სივრცის დეპოლიტიზაციის მცდელობას წარმოადგენდა. აკადემიური და კულტურული ელიტის ლეგიტიმაციისთვის გამოყენების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს მატროსოვის ქუჩის ნატო ვაჩნაძის სახელით ჩანაცვლება. ასევე მნიშვნელოვანია მუშათა ქუჩის ტრანსფორმაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ქუჩად, რაც კლასობრივი ნომენკლატურის კლასიკური ლიტერატურული ნარატივით ჩანაცვლების მაგალითია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შევარდნაძის პოლიტიკა გამოირჩეოდა მრავალვექტორულობით, რაც ტოპონიმიკაშიც აისახა. ამ ტენდენციას ადასტურებს ბოლშევიკ პროკლე ჯაფარიძის ქუჩის იტალიის ქუჩით ჩანაცვლება, რაც იდეოლოგიური სიმბოლოს ნეიტრალური, გეოგრაფიული და დიპლომატიური შინაარსით შევსებას გულისხმობდა. ამავდროულად, მისი საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ლავირების სტრატეგიით ხასიათდებოდა. სწორედ ამ არარადიკალური დამოკიდებულების გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში რუსული და საბჭოთა წარმოშობის სახელწოდებების მქონე ქუჩების მხოლოდ მცირე ნაწილი შეიცვალა. სტატუს-კვოს შენარჩუნების პოლიტიკის ფარგლებში ქალაქის რუკაზე დარჩა ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა საბჭოსა და მიხეილ ლერმონტოვის ქუჩები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეპოქის სიმბოლურ ჰიბრიდულობას.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ,,ახალი საქართველოს მშენებლობი" დისკურსს წარმოაჩენდა, რაც სწრაფ რეფორმებსა და სახელმწიფო აპარატის მოდერნიზაციას მოიცავდა. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება ტოპონიმიის, როგორც პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტის, გამოყენების ლოგიკას. აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას კვლევა *Artificial Change of Toponymy as a Tool of Propaganda of Soviet Ideology*, სადაც სახელდების ცვლილება განიხილება, როგორც მომავლის პროექტირებისა და იდეოლოგიური კონსტრუირების მექანიზმი (2024). სააკაშვილის ეპოქაში ქუჩების დასახელება ევროპული და ამერიკული სიმბოლოებით სწორედ ამ პროექციულ ფუნქციას ატარებდა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ვექტორს უსვამდა ხაზს. დასავლური ორიენტაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია 2005 წელს განხორციელებული ცვლილება, როდესაც თბილისის აეროპორტის გზატკეცილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სახელი ეწოდა. ანალოგიურად, შავნაბადას ქუჩის ნაწილს პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სახელი მიენიჭა. ეს გადაწყვეტილებები რუსეთთან მკვეთრი დისტანცირებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სიმბოლური დეკლარირება იყო. გარდა ამისა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით გააქტიურდა ოკუპაციის ნარატივი

და ომის გმირების სახელების უკვდავყოფის პრაქტიკა. ამ ტენდენციის მაგალითია 2006-2007 წლებში განხორციელებული ცვლილება, როდესაც საბჭოთა წარსულის სიმბოლოს, საბჭოს ქუჩას, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირის, კოტე აფხაზის სახელი ეწოდა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ რესპუბლიკის მოედნისთვის ,,ვარდების რევოლუციის მოედანი" სახელწოდების მინიჭებაც. აღნიშნული აქტი არა მხოლოდ წინა რეჟიმის სიმბოლურ დემონტაჟს, არამედ ახალი პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციასა და მისი ისტორიული მნიშვნელობის დემონსტრირებას ემსახურებოდა.

,,ქართული ოცნების" პოლიტიკურ პრაქტიკაში იდეურ ღერძად სოციალური და პოლიტიკური ნეიტრალიზაციის სტრატეგია გამოიკვეთა. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება გ. მაისურაძის მიერ აღწერილ მეხსიერების დეპოლიტიზაციის ფაზას. ეს ტერმინი გულისხმობს ისტორიული ნარატივების ტრანსფორმაციას კონფლიქტური იდეოლოგი ებიდან საერთო კულტურულ ფასეულობებად, ამ დროს სახელმწიფო ცდილობს მწვავე ისტორიული დაპირისპირებების განეიტრალებასა და საზოგადოებაში ემოციური კონსენსუსის შექმნას (მაისურაძე, 2023). სწორედ ამიტომ, ურბანულ ნომენკლატურაში პოლიტიკური ფიგურების ნაცვლად სულ უფრო ხშირად ჩნდებიან საზოგადოებისთვის საყვარელი ხელოვანები, სპორტსმენები და საზოგადო მოღვაწეები, რაც მორალურ და არა იდეოლოგიურ ერთობას უსვამს ხაზს. ამ ტენდენციის მაგალითია ყაზბეგისა და აღმაშენებლის გამზირების გარკვეული მონაკვეთებისთვის მოჭიდავე ლევან თედიაშვილის სახელის მინიჭება, ისევე როგორც რეჟისორ თემურ ჩხეიძის სახელობის ქუჩის გაჩენა. ამავდროულად, თუ წინა ხელისუფლება მკვეთრად გამოხატულ პროდასავლურ ვექტორს ატარებდა, ,,ქართული ოცნების" პერიოდში საგარეო პოლიტიკა უფრო მეტად მრავალვექტორული და კულტურულ დიპლომატიაზე ორიენტირებული გახდა. ამას ადასტურებს თბილისის რუკაზე ისეთი ტოპონიმების გაჩენა, როგორიცაა ყაზახი პოეტის პატივსაცემად დარქმეული აბაის ქუჩა და ურუგვაის დედაქალაქის სიმბოლური აღიარება მონტევიდოს მოედნის სახით. ხელისუფლების იდეოლოგიური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია წინა რეჟიმის სიმბოლური დემონტაჟი, რაც ტოპონიმიკაში ორი გზით გამოიხატა: რესტიტუციითა და სახელთა გადარქმევით. ამის ყველაზე ემოციური მაგალითია თბილისში ირინა ენუქიძის (სანდრო გირგვლიანის დედის) სახელობის ქუჩის გაჩენა. ეს აქტი წარმოადგენს წინა ხელისუფლების მმართველობის სტილის კრიტიკასა და სამართლიანობის აღდგენის მორალურ ნარატივს. ამავე ლოგიკით მოხდა ვარდების რევოლუციის მოედნისთვის სახელწოდების შეცვლა და მისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მოედნის წოდება, რაც რევოლუციური პათოსის ინსტიტუციური ისტორიული მეხსიერებით ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო ფენომენი,

ტრაგიზმის პერსონალიზაცია. ეს ცნება ასახავს კოლექტიური მწუხარების ტრანსფორმაციას, სადაც ომისა თუ რეპრესიების მსხვერპლნი აღარ განიხილებიან მხოლოდ როგორც სახელმწიფოებრივი სიდიადის სიმბოლოები, არამედ აქცენტი კეთდება მათ ინდივიდუალურ, ადამიანურ ტრაგედიაზე. თუ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას გმირები სახელმწიფოებრივი სიდიადის ნაწილად განიხილებოდნენ, ,,ქართული ოცნების" პირობებში აქცენტი კეთდება ტრაგედიის ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე წარმოჩენაზე. ურბანულ სივრცეში გაჩნდა არაერთი გმირის ქუჩა (მაგალითად, ლევან დევდარიანის, ზაირა კიკვაძის, ლევან მაჭავარიანის ქუჩები), რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ცდილობს ტრაგედიები არა დიდ პოლიტიკურ ნარატივებად, არამედ ადამიანურ, ემოციურ ისტორიებად წარმოაჩინოს. ეს მიდგომა ემსახურება საზოგადოებრივი მწუხარების ნაციონალიზაციას ისე, რომ არ მოხდეს მისი პოლიტიკური რადიკალიზაცია.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოკვეთილი მთავარი მიგნება ადასტურებს, რომ ქუჩების ტოპონიმიკური ცვლილებების ანალიზი წარმოადგენს სხვადასხვა ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა და იდეოლოგიური პრიორიტეტების შესწავლის უტყუარ ინსტრუმენტს. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მმართველმა გუნდმა საჯარო სივრცეში საკუთარი, უნიკალური მეხსიერების პოლიტიკა შემოიტანა, რითაც ქალაქის სახელდების პრაქტიკა პირდაპირ დაუკავშირა სახელმწიფოებრივ ნარატივებსა და კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას. ეს პროცესი პრაქტიკაში ადასტურებს მორის ჰალბაქსის თეზისს, რომ კოლექტიური მეხსიერება აწმყოდან კონსტრუირდება: თითოეული რეჟიმი ქმნიდა საკუთარ სოციალურ ჩარჩოს, რომელშიც წარსულის მხოლოდ ის მონაკვეთები ხდებოდა აქტუალური, რაც მათ ლეგიტიმაციას სჭირდებოდა. შესაბამისად, თბილისის ქუჩები იქცა პიერ ნორასეულ ,,მეხსიერების ადგილად" წერტილებად, სადაც ხელისუფლებები ისტორიის აბსტრაქტულ ნარატივებს ფიზიკურ სიმბოლოებად გარდაქმნიდნენ. ამ პროცესში გადამწყვეტი აღმოჩნდა დროითი ორიენტაცია, ანუ ის, თუ წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის რომელ წერტილზე აკეთებდა აქცენტს ხელისუფლება საკუთარი ლეგიტიმაციისთვის. თუ ზვიად გამსახურდიას მმართველობა რეტროსპექტიული იყო და საბჭოთა პერიოდის ,,ამოჭრით" შორეულ ,,ოქროს ხანასთან" (ქეთევან წამებული, აბო თბილელი) კავშირის აღდგენას ისახავდა მიზნად, ედუარდ შევარდნაძის ეპოქამ სტატიკური, ,,გაყინული დროის" პოლიტიკა შემოიტანა, სადაც აკადემიურ ელიტებზე აქცენტით (ნატო ვაჩნაძე, ივანე ჯავახიშვილი) წარსულისა და აწმყოს ფრთხილი თანაარსებობა ნარჩუნდებოდა. საპირისპიროდ, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ურბანული სივრცე პერსპექტიულ,

მომავალზე ორიენტირებულ პროექტად აქცია, სადაც დასავლური სიმბოლოებისა (ჯორჯ ბუში, ლეხ კაჩინსკი) და ომის გმირების უკვდავყოფა ქვეყნის ცივილიზაციური არჩევანის მანიფესტაციას ემსახურებოდა. დღეს კი, ,,ქართული ოცნების" პირობებში, მეხსიერების პოლიტიკა აწმყოზე ორიენტირებულ სოციალურ ნეიტრალიზაციად გარდაიქმნა, სადაც აქცენტი საზოგადოებრივ კონსენსუსსა (სპორტსმენები, ხელოვანები) და ტრაგიზმის პერსონალიზაციაზე (ირინა ენუქიძე) კეთდება. საბოლოო ჯამში, თბილისის ქუჩების სახელდება აქტიური იდეოლოგიური იარაღიდან საჯარო სივრცის ,,ნორმალიზაციისა" და პოლიტიკური განტვირთვის მექანიზმად იქცა, რაც ნათლად ასახავს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ნარატივების ევოლუციას.

კვლევის ძირითად შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ანალიზი დაეფუძნა მხოლოდ ციფრულ არქივებსა და ენციკლოპედიურ მასალებს, ხოლო ფიზიკურ არქივებზე წვდომა და მასალების უშუალო დამუშავება მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა. აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა იქონია შერჩევის მოცულობაზე, რადგან ონლაინ რესურსები ყოველთვის არ იძლევა სახელდებათა ცვლილების სრულ ისტორიულ ქრონოლოგიას.

შესაბამისად, მომავალი კვლევის ფარგლებში სასურველია შერჩევის არეალის გაზრდა და ფიზიკური არქივებიდან დოკუმენტური ინფორმაციის გამოთხოვა, რაც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ის ადმინისტრაციული არგუმენტაცია, რომელიც თან სდევდა თბილისის ურბანული რუკის ტრანსფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, ზ. (რედ.). (2008). თბილისი: ენციკლოპედია. ქუჩები, გამზირები, მოედნები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

მაისურაძე, გ. (2023). მეხსიერების პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში (ძირითადი ასპექტები). ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. https://ge.boell.org/sites/default/files/2023-05/maisuradze_geo.pdf

საერთაშორისო გამჭირვალეობა - საქართველო (2014) . ზუგდიდის ქუჩები და სოფლები , რომელბიც რემდე ინარჩუნებენ საბჭოთა კავშირის სახელწოდებებს. https://transparency.ge/en/blog/streets-and-villages-zugdidi-still-carry-soviet-names

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2025, 12 დეკემბერი). *კანონპროექტები.* ერთიანი სახელმწიფო სერვისების პორტალი (Matsne). https://matsne.gov.ge/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. (n.d.). სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. https://www.tbsakrebulo.gov.ge/index.php?m=546

Dala Costa, A. (2020). *Toponymy and the issues of memory and identity on the post-Soviet Tbilisi cityscape*. Ideology and Politics, 1(15), 148–171. https://doi.org/10.36169/2227-6068.2020.01.00007

Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory*. University of Chicago Press.

Khotcholava-Matchavariani, N., Jorbenadze, N., Rekhviashvili, K., & Chotalishvili, L. (2023). Artificial change of toponymy as a tool of propaganda of Soviet ideology. *Georgian Geographical Journal, 3*(2).

Nora, P. (1989). Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. Representations, (26), 7–24. https://eclass.uoa.gr/modules/document/file.php/ARCH230/PierreNora.pdf

Neidze, V., Tutberidze, M., Khomeriki, G., Gongadze, M., Lominadze, G., & Pavliashvili, N. (2017). *Javakheti Plateau – New tourist area of Republic of Georgia*. Earth Sciences, 6(5-1), 1–7

Soviet Toponymy: The History and the Present. (2017). Earth Sciences, 6(5-1).

https://www.sciencepublishinggroup.com/article/10.11648/j.earth.s.2017060501.17

დანართი (კვლევის ინსტრუმენტი)

დანართი 1: საარქივო და დოკუმენტური მასალების დამუშავების ფორმა (კონტენტ-ანალიზის სქემა)

განმარტება: წინამდებარე ცხრილი წარმოადგენს კვლევის ძირითად ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა საარქივო დოკუმენტებიდან და რუკებიდან თვისებრივი მონაცემების ამოკრება და მათი სისტემატიზაცია პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ჭრილში.

ანალიზის კატეგორია	**საკვლევი ინდიკატორები (კითხვები)**
ტოპონიმური იდენტიფიკაცია	რა იყო ობიექტის პირვანდელი სახელწოდება და რა ეწოდა მას ცვლილების შემდეგ?
პოლიტიკური პერიოდიზაცია	რომელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდს განეკუთვნება ტოპონიმის ცვლილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება?
იდეოლოგიური ნარატივი	რა ტიპის სიმბოლურ-შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს ახალი სახელწოდება?
ენობრივი მახასიათებელი	როგორია ახალი დასახელების ენობრივი სტრუქტურა და რა პრინციპითაა შერჩეული მისი ფორმა?

დანართი 2: საკვლევი ტოპონიმების საილუსტრაციო ნუსხა პოლიტიკური პერიოდების მიხედვით.

განმარტება: ნუსხა მოიცავს ონლაინ-არქივებში იდენტიფიცირებული ყველა შეცვლილი ტოპონიმისგან შერჩეულ საილუსტრაციო ნიმუშებს, რომლებიც ასახავს თითოეული პერიოდის პოლიტიკურ ნარატივს.

I. ზვიად გამსახურდიას პერიოდი (1990-1991)

1. კაშენის ქუჩა → აბო თბილელის ქუჩა

2. შაუმიანის მოედანი →ქეთევან წამებულის მოედანი

3. ლენინის მოედანი → თავისუფლების მოედანი

4. მაგნიტოგორსკის ქუჩა →თორნიკე ერისთავის ქუჩა

5. ძერჟინსკის ქუჩა → პავლე ინგოროყვას ქუჩა

6. უსახელო ობიექტი →მაზნიაშვილის ქუჩა

7. უსახელო ობიექტი → მირიან მეფის ქუჩა

8. მშვიდობის გამზირი →კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი

9. სევასტოპოლის ქუჩა → გურამ რჩეულიშვილის ქუჩა

10. ვერა ფიგნერის ქუჩა → ფერიცვალების ქუჩა

11. 5 დეკემბრის ქუჩა → ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა

12. შიო ჩიტაძის ქუჩის I მონაკვეთი → ცხრა აპრილის ქუჩა

13. მიხეილ კალინინის ქუჩა → ივანე ჯავახიშვილის ქუჩა

II. ედუარდ შევარდნაძის პერიოდი (1992-2003)

1. თავისუფლების მოედანი (სახელწოდების საბოლოო სამართლებრივი დაკანონება); 2. ლენინგრადის ქუჩა →სანქტ-პეტერბურგის ქუჩა

3. გუდაუთის ქუჩა → გია გულუას მოედანი

4. ანაგის ქუჩა → ჟიული შარტავას ქუჩა

5. პიატიგორსკის ქუჩა → წმინდა ნიკოლოზის ქუჩა

6. ფიოდორ აფანასიევის ქუჩა → კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ქუჩა

7. მუშათა ქუჩა → ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა

8. მატროსოვის ქუჩა → ნატო ვაჩნაძის ქუჩა

9. პროკლე ჯაფარიძის ქუჩა → იტალიის ქუჩა

10. შენარჩუნებული საბჭოთა ტოპონიმები: საბჭოს, ელიავას, ბორის ძნელაძის, მოსკოვისა და კასპის ქუჩები (სტატუს-კვოს შენარჩუნების პოლიტიკა).

III. მიხეილ სააკაშვილის პერიოდი (2004-2012)

1. თბილისის აეროპორტის გზატკეცილი →ჯორჯ ბუშის ქუჩა

2. შავნაბადას ქუჩის ნაწილი→ ლეხ კაჩინსკის ქუჩა

3. ბორის ძნელაძის ქუჩა→ გიორგი ანწუხელიძის ქუჩა

4. კასპიის ქუჩა →აგვისტოს ომში დაღუპული გმირების სახელობის ქუჩები 5. საბჭოს ქუჩა→ კოტე აფხაზის ქუჩა

6. ელიავას ქუჩა →გიორგი ცაბაძის ქუჩა

7. საბურთალოს მოედანი→ ზურაბ ჟვანიას მოედანი

8. ვორონცოვის მოედანი → ზაარბრიუკენის მოედანი

9. რესპუბლიკის მოედანი → ვარდების რევოლუციის მოედანი

10. ენთუზიასტების ქუჩის ნაწილი → ამბროსი ხელაიას ქუჩა

11. დეპოს ქუჩა → წმინდა მოწამე თევდორეს ქუჩა

12. საქართველოს სამხედრო გზის ნაწილი →შობის ქუჩა

IV. „ქართული ოცნების" პერიოდი (2012-დღემდე)

1. უსახელო ქუჩა → ირინა ენუქიძის ქუჩა

2. ვარდების რევოლუციის მოედანი →პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მოედანი 3. უსახელო მოედანი → მონტევიდოს მოედანი

4. უსახელო ქუჩა → აბაის ქუჩა

5. გიორგი ქუჩიაშვილის შესახვევი → თემურ ჩხეიძის ქუჩა

6. ყაზბეგის და აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთები → ლევან თედიაშვილის ქუჩა 7. უსახელო ქუჩა → დიმიტრი ქააძის ქუჩა

8. უსახელო ქუჩა → ლევან დევდარიანის ქუჩა

9. მექანიზაციის შესახვევი → ზაირა კიკვაძის ქუჩა

10. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი → ლევან მაჭავარაიანი

11. უსახელო ქუჩა → პეტრე-პავლეს ქუჩა

12. უსახელო ხეიავნი → ამაღლების ხეივანი